

სახალხო საქმე

მთავარი კომიტეტის ორგანო

ფასი 50 კაპ.

ჩენ-სლოვაკები მოკავშირეებს დახმარებენ ინგლისის მთავრობამ იკონი თავისი მოქმედებით გამოაცხადა და დახმარება აღუთქვა. — მდ. ენის ჩრდილოეთით ფრანგებმა 2200 გერმანელი დატყვევეს.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„სახალხო საქმე“

ლირსა თვით 10 მან., ნომერი ღირს პროვინციასა და ტფილისში 50 კაპ., რკინის გზის სადგურებზე 60 კაპ., განცხადება: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტრიტით პირველ გვ. 60 კაპ., უკანასკნელ გვ. 40 კაპ. სამგლოვიარო განცხადება 15 მან. ხელის მოწერა და განცხადება მიიღება რედაქციის კანტორაში ყოველ დღე დღის 9—3 საათამდე, სასაქლოს ქუჩა, № 6, ფოსტის ყუთი 190, ტელეფონი 12—29.

მწუხარებად ქვეყნის ელენე, სანდრო (სანგანიძე) და ნინო გველიშვილები, დეკანოზი იონე ციციშვილი მუდღისითა და შვილებითურთ ნათესავებსა და მეგობართ აცნობებენ, რომ მარიამობისთვის 2 (ძვ. სტ.) ქ. სურამში მოულოდნელად გაუფრინდათ ხელაღან პირველთა ერთად ერთი ნუგეში, ხოლო მეორეს და მესამეთ შვილი შვილი და დისწული პატარა

ცელი ნათელა.

ბევრი ვებრძოლეთ სიკვდილს, მაგრამ იმანა გვძლია და ჩვენი იმედი ბნელმა სამარემ ს. ბეკაშვილი ჩაიბარა. 1280

გრიგოლ პაპულაძე შვილებით, კეკელა ხუდავერდოვი და ოსკანა ამირბეგოვი აუწყებენ ნათესავებსა და ნაცნობ-მეგობრებს, რომ გარდაიცვალა პირველის მეუღლე, მეორესი შვილი, ხოლო მესამის სიდედრი

ანა კებროსას ასული კაკულაძისა.

პანაშვიდი ყოველ დღე საღ. 7 ს. გამოსვენება ხელშაბათს, აგვისტოს 22 ს, დღის 9 ნახევ. საათზე, მიცვალებულის ბინიდან (ლუარსაბის ქ. № 12), დაკრძალვა იმავე დღეს ხოჯივანქის სასაფლაოზე. 880

თანამშრომლებს, განსაპატიოებთი პოქაშაუნდნებს,

რედაქცია უმორჩილესად სთხოვს წერილები რაც შეიძლება მოკლედ სწორად და აღნიშვნა მხოლოდ ფაქტები, რათა რედაქციას მუშაობა გაუადვილონ.

მ. ბ. ო. ი.

„გორის საზაფხულო კლუბში“ კვირას 1918 წ. აგვისტოს 25-ს (ახალი სტილით) შესდგება სამ განყოფილებიანი

სახალხო კონსერტი

მიხეილ კავსაძის გუნდისა. დასაწყისი სრულ 9 საათზე. ბილეთები იყიდება. კონცერტის მომწყობნი ს. და კ. გოგიბედაშვილები. გამგე მ. გოგიბედაშვილი.



მ. ავთიოკავისა

მიხეილის პრ., მუსტ, ახლო, საკუთ., ახლო შეყვით კა-პიტალური სახანძრო შენობა, ტელეფ. 18—60.

დღეს, ოთხშაბათს აგვისტოს 21-ს გაიმართება

დიდი საღმარისალო წარმოდგენა

რომელიც შესდგება 20 ნომრისაგან გამოსვლა სახელგანთქმულ იაპონელთა კაპელისა. დღეს გამოვა იოტუ ხუნა, იკარიული გასართობები. მონაწილეობს აგრეთვე სლასტუ-შინსკი. უკანასკნელი გასტროლი ველიკორუსთა კაპელისა, მდნაწილეობს მთელი დასი. მუსიკა უკრავს 7 საათიდან წარმოდგენა 8-დან. 879

მთავარი ადმინისტრატორი მ. ელიზაროვი.

იყიდება

საგარაკო მიწა ზომით 844 კვ. სავ. ქ. ხაშურში (მიხაილოვო), მალბოზე სადგურის პირდაპირ გადმოსტეგის მთელი ხაშურის ვაკეს იკიონებ ნაბერძის ქ. სამღებრო ლეგრანის ვერის ბილთან. 11—2 საათ. 878

ტფილისი, აგვისტოს 21.

ინგლისელები.

უკანასკნელი დღეებში მოსკოვისა და ლონდონიდან შემდეგ გვატყობინებს: ინგლისის ჯარი ბაქოში შევიდა, ბოლშევიკების მთავრობა აღარ არსებობს, მთელი ძალა უფლება ზომიერ ჯგუფების ხელში გადასულია, რომელიც ინგლისის ჯართან შეთანხმებით მოქმედებს.

ანაირად ბაქო ინგლისელების ხელშია. აფშერონის ნახევარ კუნძულის ბოლშევიკებმა რუსეთის ისტორიული სამხაზური გაუწყის: ერთადერთი ძალა რუსეთის არსებობისა, წყარო რუსეთის მრეწველობის სიკაცხლისა დაიხურა. ვრსაც ოდნავ მაინც წარმოადგენა აქვს ბაქოსა და ნავთის ძალაზე რუსეთში მისთვის აშკარაა — რუსეთისათვის ბაქოს დაკარგვა უმძიმესია ყოველ სხვა მოკლენაზე, ეს გამოიწვევს მდინარე ვოლგას აღმ-მიცემობის კატასტრო-

ფას, უკიდურეს გაჭირვებაში ჩაყარდება რკინის გზა და შეიძლება სავსებითაც შეჩერდეს ნახევრად შეჩერებული რუსეთის მრეწველობა.

ჩვენ ვიცით ლენინის მთავრობა შაუმონ-ჯაფარიძეს ბაქოს დასაცავად ჰპირდებოდა ჯარის გამოგზავნას, მაგრამ ლენინის დაპირება დაიპრებად დარჩა, ბაქო უკვე ინგლისის რეგულიარულ ჯარის ხელშია და ყოველ შემთხვევაში რუსეთის ბანდავერ გამოსტაცებს ინგლისელებს ბაქოს.

მდგომარეობა რთულია ჩვენთვისაც. შორეულ მომავლისათვის გადაიღო შავსა და გურგენის ზღვითა შეერთება, თვით საქართველოსათვის ბაქოს ყოველ მხრივ დიდი მნიშვნელობა აქვს და გარდა ამისა ინგლისელების ბაქოში შემოსვლა ამიერკავკასიის ტერიტორიაზე მოასწავებს ისეთ ძალის გაჩენას, რომელიც გულსხობის ომის გამწვავებას, სამხედრო მდგომარეობის გართულებას, ეს ვარაუდობა რამდენადმე გათვალისწინებული აქვს გერმანიას, რომელმაც საქმით ჯარი შემოიყვანა ჩვენს ქვეყანაში და ეჭვი არ არის ინგლისის აგრესიულ მიზნებს აქაც ისე დაეძვრა, როგორც ეს მოხდა ფრონტის სხვა მხარეს.

მაგრამ ამ საკითხში კიდევ უფრო საინტერესო სხვა მომენტია. სახელდობრ ჩვენი დამოკიდებულება ინგლისთან. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დროს უკვე გამოაცხადეს, რომ საქართველო ყველა სახელმწიფოსთან ჩრება ნეიტრალურ მდგომარეობაში და მოსურნეა მეგობრული განწყობილება ჩამოადგოს სხვა და სხვა ერთან. ჩვენთვის მთავრობის ეს დეკლარაცია ისტორიული მოვლენაა და იგი არასოდეს გვავიწყდება, მაგრამ ამავე დროს ადვილად შეგვიძლიან სინამდვილეს პირდაპირ შევხედოთ და გავარჩიოთ თუ ვისთან რამდენად მეტი საფუძველი აქვს მტკიცე მეგობრულ კავშირს.

ინგლისი ევროპის ერთი კულტურული ქვეყანაა, რომელიც დემოკრატიზმზე ბევრს ლაპარაკობს და ამავე დროს ევროპის ომებში გაცილებით მეტ მონაწილეობას იღებდა ვიდრე მილიტარული გერმანია. ინგლისთან არასოდეს არ გვერინია და არც ეხლა გვაქვს მახლობელი კავშირი და ეკონომიური ნათესაობა. თუ დღემდე მოგვიღოდა ინგლისიდან გლაზგოს ტილო ან იორკშირის შალი, ეს ხდებოდა წინდა კოლონიალური პოლიტიკის საშუალებით. ინგლისურ მეცნიერებს, მხატვრობას, პოეზიას და ტრადიციას საქართველოში არასოდეს არ ჰქონია ისეთი მნიშვნელობა, როგორც მაგალითად რუსეთს და გერმანიას, ამიერიდან კი ინგლისის მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესებულია, უფრო მეტი საზღვარი დაიდო ჩვენს ქვეყანასა და ინგლისს შორის და ეხლანდელი ინგლისის საექსპედიციო ექსკურსია ჩვენი მხარისაკენ არის ჩვეულებრივი სამხედრო ავანტიურა, რომელიც ბრბობის გამხმევებას უფრო ისახავს მიზნად. ვიდრე რაიმე სერიოზულ საქმის გაკეთებას.

როგორც ვიცით, ბაქოში ინგლისის ავანტიურას ძალიან გაუხარებია სომხის ზოგიერთი წრეები. კომერციის ავანტიურისტები უქვეყნია ამ მოკლენაში ახალ შემოსავლის წყაროს აღმოაჩენენ და თვით სომხისა და სხვა ერის ბედ-იღბალს ოდნავადაც არ დაგიდევენ, მაგრამ ჩვენმა დემოკრატამ და იმ ძალებმა, რომელთაც სწამთ საქართველოს მომავალი კარგად უნდა დისხამონ შემდეგი: ავანტიურა ყოველ ერისათვის გამანადგურებელია თუმცა იგი იყოს მილიტარულ ქვეყნის, ამ შემთხვევაში ინგლისის ავანტიურა, ვინაიდან ერების და სახელმწიფოების ერთმანეთთან დაახლოება ხდება არა მარტო იარაღით, დიპლომატიით და ავანტიურით, ამისათვის საჭიროა მეტი ერთობა იყოს კულტურული, ეკონომიური და უმთავრესად სიახლოვე ტერიტორიალურ გეოგრაფიული. არც ერთი ეს პირობა ინგლისისათვის არ არსებობს, ჩვენ სხვა ვართ, ის კიდევ სხვაა, რომელთა შორის თუ დიდი არა, ძალიან მნიშვნელოვანი ზღვარი არსებობს.

მთავრობაში

სამხედრო მინისტრის განკარგულებით სამხ. სამინისტროს პირად შემადგენლობის განყოფილების უფროსი, პოლკოვნიკი ი. გედევანიშვილი დაინიშნა სამხედრო სამინისტროს საერთო განყოფილების უფროსად.

გენერალი კონიაშვილი დაინიშნა სამხედრო მინისტრთან განსაკუთრებულ მონღობილებათა გენერალად.

სამხ. სამინისტროს პირად შემადგენლობის უფროსად ნაცვლად ი. გედევანიშვილისა დაინიშნა პოლკოვნიკი წულუქაძე.

აგვისტოს 15-დან სამხედრო სამინისტროში ყველა საქმეები ახალ შტატების მიხედვით სწარმოებს.

მიწათ მოქმედების სამინისტრომ გადასწყვიტა გააუქმოს ტფილისის საგუბერნიო საადგილ-მამულო კომიტეტი. ამ კომიტეტის ფუნქციები გადაეცემა ცენტრალურ საადგილ-მამულო კომიტეტთან აგრარულ რეფორმათა განყოფილებას.

მიწათ მოქმედების სამინისტროს სხვა და სხვა კუთხიდან მრავალი თხოვნა მოსდის, როგორც ლტოლვილებთან, აგრედვე ადგილობრივ უმიწა-წყლო გლეხთაგან რათა ნება მიეცეთ მათ თავისუფალ მიწა-წყალზე დასახლებისა.

მიწათმოქმედების სამინისტრომ დაარსა განსაკუთრებული გადასახლების განყოფილება. ამ განყოფილების მიზანია ჯეროვნად გადასწყვიტოს და ცხოვრებაში გაატაროს გადასახლების საკითხი. განყოფილება უკვე შეუდგა პრაქტიკულ მუშაობას და საჭირო ცნობების შეკრებას თუ სად რამდენი კომლის დასახლება შეიძლება.

განათლების სამინისტრომ მინისტრთა საბჭოს განსახილველად და დასამტკიცებლად წარუდგინა ტფილისის ფიზიკურ ომსერვატორიის ხარჯთ-აღრიცხვა რომელიც შეიცავს 173,253 მან. 69 კაპ.

განათლების სამინისტრომ მინისტრთა საბჭოს წინაშე შეამდგომოდა აღძრა რათა დახმარება აღმოეჩინოთ ტფილისის ყოფილ ქალთა და ვაჟთა ქართულ გიმნაზიის მასწავლებლებს აგვისტოს ჯამაგირის მიცემით.

ომის დავაშაბი

დასახველეთის ფრონტი.

ბარლინი. 8—19. კრონპრინც რუპრეხტის ლაშქარი. ბელიჯის საზღვრ-დასახველეთით ინგლისელებმა იერიში მოიტანეს მეტერენსა და მერისის შუა. იერიშები ჩვენ მოვიგერეთ. ლისის ორივე მხრით მტრის მხვერავთა მოქმედება. ანკრის ჩრდილოეთით ჩვენ წინ წავსწიეთ ჩვენი პოზიციები და ტყვეებიც წამოვიყვანეთ

ბომბე ლაშქარი. ანკრა და უახს შუა სასტიკი ბრძოლა. მტრმა არა ერთხელ მოიტანა იერიში. სომას საზღვრით დამარცხდნენ ავსტრალიელები, რომელთაც იერიში მოიტანეს ხერლველითან. ფრანგების იერიშები ამიერ-რუანის ვახტეცილის ორივე მხრით კვლავან მოვიგერეთ. აგრედვე დამარცხდა მტერი ავრთან. მტერი შეიჭრა ბერენის დასახლებს ნაწილში. ჩვენი გამოვიწვიეთ აქ მებრძოლი ჯარი ამ ადგილის აღმოსავლეთ კიდესკენ. ლასინის ჩრდილო-დასახველეთით მტრის იერიშები მოვიგერეთ. უახსა და ენს შუა შუადღეზე ძლიერი საარტილერიო ბრძოლა დაიწყო; საღამოთი, როდესაც საარტილერიო ბრძოლა უარესად გაძლიერდა, მტრმა შემოვიტია კარლსონტსა და ნურონის საზღვრთ ნაწილს შუა. ჩვენი მოწინავე ნაწილები რამოდენიმე საათის განმავლობაში მდგრად ებრძოდნენ მტერს, რომლის იერიშები ყველგან დამარცხდა.

გერმანულ კრონპრინცის ლაშქარი. ვესლასთან და ბრენის ორივე მხრით საარტილერიო ბრძოლა და ქვეითა ჯარის მოქმედება

პარიზი. 8—19. გასული დღის განმავლობაში ფრანგები განაგრძობენ თავის ბრწყინვალე მოქმედებას მატსა და უახს შუა. მიუხედავად გერმანელების სასტიკი წინააღმდეგობისა ფრანგებმა დაიპყრეს ფრესნიერი და ლასინის დასახველ ნაწილებს მიადწიეს. მარჯვენა ფრთით ფრანგებმა აიღეს პიპრე და დრესლის ფრანგების საზღვრთ ნაწილებამდე წასწიეს თავისი ბაზები ენის ჩრდილოეთით, კარლსონტსა და ფონტენუს შუა ფრანგებმა დაიპყრეს სოფ. მორს-

ტენი ამ რაიონში გუშინდლიდან დაწყებული 2.200 კაცი დაატყვევეთ.

იტალიის ფრონტი.

ვენა. 8—19. პიავაზე იტალიელ მხვერავთა რაზმების მოქმედება უნაყოფოდ ჩატარდა.

პალესტინის ფრონტი.

სამხმლი 8—19. ლიუდ-ტულ-კრემის რკ. გზის აღმოსავლეთით მტრის მხვერავთა რაზმის იერიში მოვიგერეთ. ძლიერმა მხვერავთა რაზმა მერდენ-ქესფამდე წაიწია; კონტრ-იერიშით ის უკან გაგრეკეთ.

უცხოეთი

მოსკოვი 8—15. ცენტრ. აღმ. კომ. ბიულეტენი. ბერლინის გაზეთების ცნობით ავსტრიის იმპერატორი მთავარ ბანაკში მივა: მას თან წაყვებოდა საგარეო საქმეთა მინისტრი და ელჩი გოგენლოე. ბანაკში გაიმართება თათბირი, რომელსაც დიდ მნიშვნელობას აწერენ. განხილული იქნება პოლონეთის საკითხი პოლონეთის წარმომადგენლებთან ერთად; თავად რაძივილოსა და გრაფ რონიკერთან.

მოსკოვი, 8—18. იოფფეს, ლარინის და საბჭოთა მთავრობის სხვა წარმომადგენელთა მოსკოვში წასვლის გამო გერმანული პრესა კმაყოფილებას გამოხატავს, რომ რუსეთის წარმომადგენლები მოსკოვში მოხსენებებს წარუდგენენ მთავრობას და მალე ბერლინში დაბრუნდებიან

რიო-დე-ჟანეირო, 8—18. მოვიდა ინგლისის გემი „არტურანო“, 28 მგზავრით; ისინი იტალიის გემზე „ჯუზეპეზე“ იყვნენ, რომელიც სანტა-კატალინასთან დაიღუპა უკმაბარის აფეთქების გამო გემს პური მიჰქონდა ბუენოს-აირსიდან.

მოსკოვი, 8—18. საბჭოთა მთავრობამ აკრძალა ამერიკის საპროპაგანდო წიგნები, სადაც ახაროლებენ მთავრებულ მტატების პოლიტიკას და ამტკიცებენ, რომ მოკავშირეთა მდგომარეობა ფრონტზე კარგია.

მოსკოვი, 8—18. კვირას მოსკოვში გაიმართა საბჭოთა ჯარის აღლუმი, რასაც კამენევიც დაესწრო. მოსკოვის მთალობლად ყოველ დღე ვარჯიშობს 35,000 კაცი.

მოსკოვი, 8—19. ცენტრ აღმ. კომიტეტის ბიულეტენი. აღმოსავლეთის ფრონტი. ალაზოვის მიმართულებით მხვერავთა შორის შეტაკება ჩვენ მხარეთა რკ. გზის ლანდდავი. ლისვენკოვის მიმართულებით დავიკავეთ სოფ. მიხაილი, კრუტოი როგი და კორნოვიშე. მტერი კლუმისაკენ ისევე ყახანის რაიონში სასტიკი ბრძოლა. ბრწყინვალე მოქმედება ნ-ს ლატოშთა პოლკი ყახანის დაეკის დროს.

ჩხე-სლოვაკების ფრონტზე.

ჩხე-სლოვაკები დახმარებას სთხოვენ ფრანგ-ინგლისელებს. ლონდონიდან იტყობინებია, რომ ჩხე-სლოვაკებმა თხოვნით მიამართეს მოკავშირეებს. ინგლისური გაზეთები ამზობენ უთუოდ უნდა დავებ-მართო ჩხე-სლოვაკებს, ინგლისის მთავრობამ განაცხადა, რომ იგი ჩხე-სლოვაკებს უფურებს, როგორც მოკავშირეებს.

გონარაშია კრება.

თათბირი მთავარ-ბანაკში გერმანული პრესის მთავარ ყურადღებას იპყრობს 24 აგვისტოსთვის დაინიშნულია კრება ცენტრალურ სახელმწიფოთა მონარქებისა. თათბირზე განხილული იქნება რუსეთის საკითხი.

ახალი ამბავი

- მილიციელებმა დაატყვევეს აგვისტოს 16-ს გრ. ეპიფანოვი, მახ. ეპიფანოვი, გ. გონტერი, მ. ბაბკინი, კ. ბაროდინი და ერთი უცნობი ქალი, როგორც გამოიკვია, მათ ბევრი ძარცვა მკვლელობა მოუხდენათ.
- დავლბი ფულეების დაწინააღმდეგეთა დატყულება. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობა მოუვიდა, რომ არსებობს ჯგუფი ყალბ ფულეების (კერესის ფულეები) ორბოცდათ მანეთიანის

